

### ქართველურ ენათა კვლევის ჯგუფის განაცხადი („მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“)

მონოგრაფია „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ დაიწერა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში – რუსთაველის (ქართველოლოგიის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფონდი) მიერ 2006 წელს გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად დაფინანსებული ამავე სათაურის პროექტის ფარგლებში; პროექტზე მუშაობა 2007-2009 წლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა. თავდაპირველად წიგნის მხოლოდ გამოსაცემად მომზადება იყო ნავარაუდები, მაგრამ, თვით მონოგრაფიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი, მართალია, მცირე ტირაჟით, მაგრამ მაინც გამოიცა რუსთაველის სამეცნიერო ფონდისა და ავტორთა საერთო ძალისხმევით.

ამგვარი ტიპის მონოგრაფიის შექმნის იდეა ჩვენს მასწავლებელს, აწ განსვენებულ პროფესორს ბატონ გურამ კარტოზიას ეკუთვნის. მან სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწე ახალგაზრდა მკვლევრები შემოგვიკრიბა და გვითხრა: „მეგრული ენის გრამატიკაზე უნდა ვიმუშაოთ, იოსებ ყიფშიძის მიერ 1914 წელს დაწერილი გრამატიკის შემდეგ მეგრულის გრამატიკა არ შექმნილა.“ ამით ბატონმა გურამმა, ერთი მხრივ, მის მიერ საკვლევად შემოთავაზებული საკითხის მნიშვნელობაზე მიგვითითა, მეორე მხრივ კი, ჩვენი საქმე, ენათმეცნიერებაში ჩვენი კვლევების მიმართულება განსაზღვრა. მოულოდნელობისგან დაბნეულები გახლდით, ვინაიდან 100 წლის წინ დაწერილი იოსებ ყიფშიძის ყავლგაუვალი მეგრული ენის გრამატიკის შემდეგ ახალი, თანამედროვე გამოწვევების დონის ნაშრომის შექმნაზე ფიქრი უთუოდ დიდი გაბედულება იყო; ჩვენ ვაცნობიერებდით იმ უზარმაზარ პასუხისმგებლობას, რომელსაც ბატონი გურამი თითოეულ ჩვენგანს აკისრებდა; ეს იყო საქმე, რომელიც ღრმა მეცნიერულ ცოდნას, დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვდა, ამასთან ერთად, გვეძლეოდა მასწავლებელ-

თან, ბატონ გურამ კარტოზიასთან, დიდ მეცნიერთან, ქართველური ენების კვალიფიციურ მკვლევართან მუშაობის, მასთან თანამშრომლობის, დიდი ცოდნისა და გამოცდილების მიღების, მეცნიერული კვლევისათვის საჭირო სწორი მეთოდოლოგიების დაუფლების საშუალება, რაც ახალგაზრდა მეცნიერთა პროფესიული ზრდის საუკეთესო შესაძლებლობაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბატონ გურამთან მუშაობისა თუ პიროვნული ურთიერთობის სიამოვნება წინ გველოდა. ასე და ამგვარად, 2006 წლის ოქტომბრიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო ქართველური ენების კვლევის ჯგუფმა პროფესორ გურამ კარტოზიას ხელმძღვანელობით.

პროექტზე მომუშავე ძირითადი თუ დამხმარე პერსონალი ორი პრინციპის მიხედვით შეარჩია: მეგრულზე სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება და მეგრული სამეტყველო კოდის ცოდნა. ეს იყო სწორი მეთოდოლოგიური მიდგომა, რადგან მეგრული ენის სხვადასხვა დიალექტის წარმომადგენელი ავტორები დიალექტურ სხვაობებს მაქსიმალურად შეამჩნევდნენ და გამოავლენდნენ.

საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის მნიშვნელობა იმთავითვე აღინიშნა ექსპერტთა მიერ, ვინაიდან იგი მიზნად ისახავდა ქართველური ენათმეცნიერების სერიოზული ხარვეზის დაძლევას – მეგრულის ენობრივი ანალიზის მომცველი ისეთი მონოგრაფიის შექმნას, რომელშიც სრულად იქნებოდა წარმოდგენილი ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, ვინაიდან ეს საშური და გადაუდებელი საქმე ხელს უწყობს ქართველურ ენათა ისტორიისა და სტრუქტურის სრულყოფილ კვლევას, რაც თითოეული ქართველური ენის ფართო აღწერისა და დაწვრილებითი ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

700-გვერდიანი მონოგრაფია „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: შესავალი, I – ფონეტიკა-ფონოლოგია, II – მორფოლოგია, III – სინტაქსი, IV – ლექსიკოლოგია. ოთხი წლის წინ, როცა ჩვენ დავიწყეთ ამ მონოგრაფიაზე მუშაობა, არ გვექონია ილუზია, რომ ყველა საკითხს ახლებურად გავაანალიზებდით და ყველაფერზე ვიტყოდით ახალ სიტყვას; ამის საჭიროება არც მდგარა. ჩვენ ვეყრდნობით ა. ცაგარლის, ი. ყიფიძისა და სხვათა შეურყვევლ დებულებებს, შემდგომი პერიოდის საეტაპო ნაშრომებსაც, მაგრამ ჩვენი მიზანი იყო კომპლექსური მიდგომა, რაც გულისხმობდა არსებული მეცნიერული ინფორმაციის სრულად თავმოყრას, ცალკეულ ნაწილთა რეინტერპრეტაციას, ამ ფონზე ახალი საკითხების წამოწევა და სამომავლოდ საკვლევი საკითხების გამოკვეთას.

მონოგრაფიაში ლექსიკოლოგიის შემოტანა განაპირობა იმ ფაქტ-

მა, რომ არ არსებობდა და დღემდე არ არსებობს მონოგრაფიულად გამოცემული „მეგრული ენის ლექსიკოლოგია“; გარდა ამისა, უკვე საკმარისი ნიადაგი არსებობდა, რათა ის მონოგრაფიაში ცალკე თავად ყოფილიყო წარმოდგენილი, ვინაიდან 1995-2005 წლებში ლექსიკოლოგიის ცალკეულ საკითხებზე ინტენსიური კვლევები მიმდინარეობდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ივანე ჯავახიშვილისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტებში და აქ დაცული საკვალიფიკაციო ნაშრომები, ცალკეული სტატიები ჩვენი მიზნისთვის მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენდა; თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეგრულში მთელი რიგი ლექსიკოლოგიური საკითხების კვლევას, როგორცაა ფრაზეოლოგია, ომონიმია, ანტონიმია, სესხება, ჩვენმა მონოგრაფიამ დაუდო სათავე; საკვლევი ბევრია, ლექსიკოლოგიის მონოგრაფიულად დამუშავება და გამოცემა მომავლის საქმეა; მომავლის საქმეა გარდამავალი ენობრივი დონეების კვლევაც.

მონოგრაფიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საანალიზო მასალა, რომელსაც ეყრდნობა მეცნიერული დასაბუთება და, შესაბამისად, დასკვნები.

ჯგუფმა იმუშავა ნარატიულ წყაროებზე (იგულისხმება დღემდე ბეჭდურად გამოცემული ყველა ტექსტი), დიგიტალიზებულ ტექსტებსა (<http://www.Uni-frankfurt.de/armazi/>) და ექსპედიციების დროს (2007-2010) მოპოვებულ ჩანაწერებზე. უცხოელი ექსპერტის რეცენზიაში ჩვენი პროექტის ერთ-ერთ ღირსებად მიჩნეული იყო გამოცემული მეგრული ტექსტების შევსება ახალი მასალით და მისი გათვალისწინება ლინგვისტური ანალიზის დროს. აქამდე გამოცემული მეგრული ტექსტები, მიუხედავად საკმარისი რაოდენობისა, მაინც მცირე ჟანრითაა წარმოდგენილი. იმისათვის, რომ დაწერილიყო ენის დაწვრილებითი ანალიზი, საჭირო იყო სასაუბრო ენაზე იმაზე მეტად კონცენტრირება, ვიდრე ეს მანამდე ხდებოდა; ამ აუცილებლობის გათვალისწინებით, საველე მუშაობა გაფართოვდა და მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბუნებრივ პირობებში ჩაწერილ ტექსტებს, თავისუფალ თხრობასა და სპონტანურ მეტყველებას. 2007-2010 წლებში ლინგვისტური მასალის ჩაწერის მიზნით სულ 7 ექსპედიცია მოეწყო სამეგრელოს შვიდივე რაიონის – წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ზუგდიდი, სენაკი, მარტვილი, ხობი, აბაშა – სოფლებსა და ქალაქ ფოთში. ფრიად საგულისხმოა, რომ ჯგუფმა შეძლო მასალების მოპოვება სამურზაყანოს რამდენიმე სოფელშიც (ოტობაია, ბარდები, ხურჩა, პირველი გალი, დიხაზურგა, საბერიო, ნაბაკევი). ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტურად ჩასახ-

ლების ადგილებშიც – თბილისში, ზუგდიდში, ბათუმსა და ქუთაისში. ჩაწერილია იძულებით გადაადგილებულ სამურზაყანოელ დევნილთა მეტყველება.

ჩაწერილი ტექსტები ჟანრობრივად მრავალფეროვანია; ჯგუფის ტექსტური კოლექცია მოიცავს ეთნოგრაფიულ მასალას, სათავგადასავლო ამბებს – ცალკეული ისტორიებს, ხალხურ ეტიმოლოგიებს, დიალოგებს... საუკუნის წინ ჩაწერილი და გამოცემული ტექსტების გვერდით თანამედროვე მეტყველების ამსახველი საექსპედიციო ჩანაწერები ენობრივი მონაცემების შედარების საშუალებას იძლევა. მასალის ქრონომეტრაჟი დაახლოებით 103 საათს შეადგენს.

ჩაწერა მიმდინარეობდა თანამედროვე ციფრული აპარატების დახმარებით, რომლებიც მაქსიმალური სიზუსტით აფიქსირებენ ფონეტიკურ პროცესებს, წარმოთქმას.

ბარიერი ინფორმატორისა და ჩამწერის ურთიერთობას თავისთავად ახლავს. გამონაკლისი არც ჯგუფის მუშაობა იყო, თუმცა ტექსტების ჩაწერა, შეძლებისდაგვარად, დაუძაბავი თხრობის პირობებში მიმდინარეობდა. ინფორმატორთა სია ხშირად წინასწარ ჰქონდა ჯგუფს მოძიებული, თუმცა დაგეგმილი ჩაწერა ყოველთვის არ გამოდიოდა სრულყოფილი, მაშინ როცა შემთხვევით შეხვედრილი ინფორმატორები მოლოდინს აჭარბებდნენ.

ჩვენი ინფორმატორების ასაკი 18 წლიდან იწყება და 90 წლის ჩათვლითაა, თუმცა 85-90-წლიანი მონაკვეთი იშვიათია – თითო-ოროლა მთქმელითაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ბევრი საინტერესო ინფორმატორი გარდაცვლილი დაგვხვდა, ხოლო ოჯახს რაიმე მისეული ჩანაწერი არ აღმოაჩნდა. იყო გამონაკლისი შემთხვევებიც, მაგრამ – ერთობ მცირე.

ინფორმატორების ასაკთან დაკავშირებით სხვა სირთულეც იჩენს თავს. 95 წელს გადაჭარბებულ წერა-კითხვის არმცოდნე მოხუცებს (ასეთები თითო-ოროლაა!) გაბმული თხრობა არ შეუძლიათ. ჩვენს აუდიო და ფოტო არქივში ინახება მასალები წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში მცხოვრები 131 წლის ქალბატონის – ანტისა ხვიჩავას შესახებ, რომელიც ჩვენი სტუმრობის დროს 127-ის იყო. ასევე, 105 წლის ქალბატონი ჟენია დგებუაძისა და 90 წლის შუდღუდი შონიას შესახებ. ექსპედიციების ამსახველი ფოტოგამოფენები, როგორც ეს სამეცნიერო საზოგადოებისათვისაა ცნობილი, ორჯერ – 2007 და 2009 წლებში – მოეწყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამოფენებზე წარმოდგენილი იყო ინფორმატორებთან მუშაობის პროცესის ამსახველი კადრები, ინფორმატორთა პორტრეტები, დღევანდელი გალის

რაიონის ცალკეული სოფლის ფოტოები, სამეგრელოს ხუროთმოძღვრული ძეგლების სურათები და პეიზაჟები.

ტექსტები გაშიფრულია კომპიუტერის საშუალებით, დიגיტალიზებულია და მასალა კოდირებულია. ვინაიდან პროექტი არ ითვალისწინებდა საექსპედიციო მასალის მომზადებას ბეჭდურად გამოსაცემად, სამუშაო ამ ეტაპისთვის შეჩერებულია. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ექსპედიციებზე ჩაწერილი პოლიჟანრული მასალის ბეჭდურად გამოცემა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ასახავს თანამედროვე მეგრულის ენობრივ სიტუაციას. ვფიქრობთ, რომ ეს მომავალი პროექტების საქმეა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ ტექსტების ნაწილი გათვალისწინებული და ჩართულია ჩვენი ჯგუფის ახალ პროექტში „მეგრული ტექსტების ელექტრონული კორპუსი“ (2009-2011; ხელმძღვ. მაია ლომია; დამფინანსებელი: რუსთაველის ფონდი). ეს არის პროექტი, რომლის შედეგადაც იქმნება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი რელევანტური მეთოდოლოგიით, კერძოდ, ლაიფციგის გლოსირების წესების მიხედვით, დოკუმენტირებული ბაზა, რომელიც განთავსდება ინტერნეტში-სამართზე: <http://www.klr.ge> (აღნიშნული გვერდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველურ ენათა კვლევის ჯგუფის საქმიანობასაც ასახავს) და მიმდინარე წლის დასასრულს სამეცნიერო საზოგადოებას წარედგინება.

მეორე მხრივ, ჯგუფის მიერ თანამედროვე საერთშორისო სტანდარტებით მუშავდება მთელი საექსპედიციო მასალა, რომელიც წარმოადგენს სისტემატიზებულ ბაზას და იგი გათვალისწინებულია ფართო შესაძლებლობების მქონე ლინგვისტურ კორპუსში ჩასართავად.

ამ ორ დიდ პროექტზე მუშაობისას ჩვენთვის თვალსაჩინო გახდა ის ხარვეზები, რომლებიც უმწერლობო ქართველური ენების, კერძოდ, მეგრულისა და ლაზურის, დოკუმენტირებასა და კვლევას უკავშირდება, კიდევ უფრო მეტად იკვეთება პერსპექტივები, სამომავლო ამოცანები. ჯგუფი გეგმავს გაფართოებას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტური კვლევების ცენტრის ბაზაზე უმწერლობო ქართველური ენების (სვანური, მეგრული, ლაზური) კვლევითი ლაბორატორიის ჩამოყალიბებას ინტერდისციპლინარული კვლევების განსახორციელებლად; მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტში უკვე არსებობს ეთნოლოგების, კანადელი პროფესორის ქევინ თუითისა და პროფესორ პაატა ბუხრაშვილის, მიერ განხორციელებული პროექტები ტექსტური კოლექციებით.

რუსუდან გერსამია  
მაია ლომია  
თაია ცხადაია



*რუსუდან გერსამია, მია ლომია, გურამ კარტოზია*

P.S. მონოგრაფიის გარეკანზე, სადაც ავტორთა ჩამონათვალია, ბატონი გურამის სახელთან ჯვარი საგანგებოდ არ დავსვით. წიგნის პირველი ეგზემპლარები სტამბამ სწორედ იმ დღეს გადმოგვცა, როცა ბატონი გურამი გარდაიცვალა, ეს იყო 2010 წლის 9 დეკემბერი. მას აკინძული წიგნი არ უნახავს... წიგნის დაბადება და ბატონი გურამის გარდაცვალება თითქოს სიმბოლურად დაემთხვა ერთმანეთს.

როგორც მონოგრაფიის პრეზენტაციაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტური კვლევების ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, „ეს მონოგრაფია განსაკუთრებულია იმიტომ, რომ იგი თავიდან ბოლომდე ბატონი გურამის ხელში მომზადდა იგი იყო არა მარტო ხელმძღვანელი, არამედ პასუხისმგებელი თითოეულ თვალსაზრისზე, ამ წიგნის სტრუქტურაზე, თითოეულ სიტყვაზე. ეს უპირატესობა, ასეთი პატრონაჟი, ფუფუნება ამ ჯგუფისათვის დამთავრდა, მაგრამ დაიწყო სხვა რამ: ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, იყო ბატონი გურამის საქმის გამგრძელებელი, გერქვას მისი ნამოწაფარი და მომავალში წარუდგინო აუდიტორიას ახალი, უკვე ბატონი გურამის გარეშე მომზადებული ნაშრომები“.